585
1966 | 3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 9 (308)

1966 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (308) სექტემბერი 1966 წელი

## შინაარსი

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. მ. შავინიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ქანთარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 160 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის** საპატიო წოდება:

1. ლევან ვლადიმერის ძე **ედილაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
2. ზინაიდა ანტონის ასულ **იმნაძეს** — ნავთობის გეოლოგიური-საძიებო კომპლექსური ლაბორატორიის განყოფილების უფროსს.
3. დიანოზ ნოეს ძე **ლეჟავას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს კალინინის, კიროვის და 26 კომისრის სახელობის რაიონების გაზის სახაზო-საექსპლუატაციო კანტორის უფროსს.
4. ზინაიდა გრიგოლის ასულ **მელიქსედექოვას** — ტრესტ „საქნავთის“ ინჟინერს.
5. აკაკი გიორგის ძე **ნიკოლაიშვილს** — ტრესტ „საქნავთის“ გაერთიანებული ნავთსარეწის ინჟინერს.
6. იაკობ ლევის ძე **რომენს** — „თბილგაზის“ სამმართველოს ინჟინერს.
7. ოთარ ალექსანდრეს ძე **სეფაშვილს** — ტრესტ „საქნავთის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის მთავარ გეოლოგს.
8. გრიგოლ კონსტანტინეს ძე **სილაგაძეს** — ტრესტ „საქნავთის“ თემატიური პარტიის უფროსს.
9. იაკობ ივანეს ძე **ქურთიშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობის პროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს უფროსს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1966 წლის 2 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 161 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდება:

### საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის:

1. გიორგი გრიგოლის ძე **აბაშიძეს** — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

2. ალექსანდრე სერგოს ძე **აბულაძეს** — კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, პროფესორს.

3. აკაკი კონსტანტინეს ძე **გაწერელიას** — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

4. მიხეილ კასიანეს ძე **გარაყანიძეს**—ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.

5. ილია მიხეილის ძე **გვერდწითელს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

6. ვალენტინ მირიანის ძე **გიგინეიშვილს** — თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს.

7. კონსტანტინე გრიგოლის ძე **გრიგოლიას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

8. ლევან ივლიანეს ძე **ებანოიძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

9. გიორგი ზაქარიას ძე **ინასარიძეს** — ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

10. ვალერიან კონსტანტინეს ძე **კვერენჩხილაძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.

11. გიორგი ალექსის ძე **კვაჭაძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

12. ილია გიორგის ძე **კობიაშვილს** — კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

13. დავით ნესტორის ძე **კობახიძეს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორს.

14.. პეტრე მიხეილის ძე **კაჭარავას** — მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

15. გიორგი მინას ძე **მარუაშვილს** — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

16. ელენე ერმილეს ასულ **ნაკაშიძეს** — ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

17. ალექსანდრე იზოტის ძე **ნოლაიდელს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ანა დავითის ასულ **ჟღენტს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

19. გაბრიელ რევაზის ძე **ტალახაძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

20. გიორგი კონსტანტინეს ძე **ტივაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

21. შალვა კონსტანტინეს ძე **ფარჯანაძეს** — კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

22. მინა ისაკის ასულ **შაც-მშველიძეს** — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორს.

23. ვასილ გიორგის ძე **ჩანტლაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

24. ნესტორ ივანეს ძე **ჩხენკელს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს.

25. იასონ გიორგის ძე **ხუციშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

**საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწისა:**

1. მიხეილ ალექსის ძე **კეკელიძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.

2. შალვა პავლეს ძე **ლომინაძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 162 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სატყეო მეურნეობასა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:**

1. ვიქტორ იუსტინეს ძე **აბულაძეს** — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის მთავარ სპეციალისტს.

2. შოთა კონსტანტინეს ძე **ბერიძეს** — სამტრედიის ხისდამმუშავებელი კომბინატის მთავარ ინჟინერს.

3. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **გელაშვილს** — მცხეთის ხისდამმუშავებელი კომბინატის დირექტორს.

4. ალექსანდრე იაკობის ძე **დგვეფაძეს** — ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატის მთავარ ტექნოლოგს.

5. სერგი ვასილის ძე **კიკნაძეს** — ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის დირექტორს.

6. ინდიკო ამბროსის ძე **კუხალეიშვილს** — ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მთავარ ინჟინერს.

7. ვალერიან ალექსის ძე **მარლანიას** — საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილეს.

8. ალექსანდრე თეიმურაზის ძე **მჭედლიშვილს** — სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის „გიპროლესტრანსის" საქართველოს ფილიალის პროექტის მთავარ ინჟინერს.

9. ალექსანდრა ალექსანდრეს ასულ **ქორქიას** — თბილისის ფანერის ქარხნის ოსტატს.

10. პროკოფი გიორგის ძე **ლვალაძეს** — საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

11. დავით ნესტორის ძე **ჩიქოვანს** — თბილისის საექსპერიმენტო ავეჯის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს.

12. ისააკ საველის ძე **ცალკინს** — საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს მთავარ ინჟინერს.

13. გერონტი არეფის ძე **ხვედელიანს** — თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევისა:**

1. იოსებ ალექსის ძე **ბასილაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ინჟინერს.

2. ვალერიან პავლეს ძე **გურგენიძეს** — გურჯაანის სატყეო მეურნეობის გურჯაანის სატყეოს უფროსს.

3. სერგი გრიგოლის ძე **ლუტიძეს** — წობის სახელმწიფო ტყის სანერგის დირექტორს.

4. დომენტი გიორგის ძე **ეძგვერაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ხე-ტყის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გერონტი პორფილეს ძე **ზარქუას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მექანიზაციისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს.

6. დავით ვარლამის ძე **თარგამაძეს** — ხე-ტყის მრეწველობის საწარმოთა საპროექტო ინსტიტუტის პარტიის უფროსს.

7. გრიგოლ თომას ძე **თვალავაძეს** — კასპის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევეს.

8. დავით გრიგოლის ძე **კენჭაძეს** — ონის სატყეო მეურნეობის დირექტორს.

9. ნინო გიორგის ასულ **ოძელაშვილს** — სამგორის სატყეო მეურნეობის ინჟინერს.

10. ივანე ივანეს ძე **სუხიაშვილს** — დუშეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს.

11. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **ჭარელიშვილს** — თბილისის სატყეო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს.

12. დავით არჩილის ძე **შარვაძეს** — სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის „გიპროლესტრანსის" საქართველოს ფილიალის ხე-ტყის ნედლეულის ბაზების სექტორის უფროსს.

13. ესტატე ვასილის ძე **ჭარხალაშვილს** — პენსიონერს.

14. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ხიმშიაშვილს** — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1966 წლის 17 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 163 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მანქანათმშენებლის დღესთან დაკავშირებით, მანქანათსაშენებელ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის** საპატიო წოდება:

1. ოთარ დავითის ძე **ანანიაშვილს** — კვების მრეწველობის მანქანათსაშენებელი ქარხნების მთავარი სამმართველოს სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

2. მიხეილ ივანეს ძე **ბეგალიშვილს** — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შრომის ნორმატიულ-საკვლევი განყოფილების უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ვლადიმერ ვასილის ძე **გვაზავას** — თბილისის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის დირექტორს.

4. ონიკ მელქონის ძე **ეთმექჩიანს** — მ. კალინინის სახელობის [illegible]რი ქარხნის განყოფილების უფროსს.

5. მიხეილ ალექსანდრეს ძე **ზერაგიას** — თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა საცდელი ქარხნის მთავარ მექანიკოსს.

6. სერგი ალექსის ძე **თათრიშვილს** — პრეციზიული სახეხი ჩარხების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

7. ვლადიმერ ვიქტორის ძე **კეშელავას** — ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის დირექტორს.

8. იური ბორისის ძე **კოტლიარენკოს** — თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს.

9. შალვა გიორგის ძე **ნიკოლაიშვილს** — ელმავალსაშენებელი ქარხნის გამომთვლელ მანქანათა სადგურის უფროსს.

10. კონსტანტინე პეტრეს ძე **რაფაელოვს** — თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის მთავარ ინჟინერს.

11. მიხეილ არზუმანის ძე **სარიკიანს** — თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსს.

12. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **ტიტვინიძეს** — მანქანათმშენებელთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანს.

13. ნინო იოსების ასულ **ფხაკაძეს** — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის განყოფილების მთავარ ინჟინერს.

14. გივი კონსტანტინეს ძე **ქართველიშვილს** — სახეხი ჩარხების ქარხნის დირექტორს.

15. გაბრიელ ალექსის ძე **ქელეხსაშვილს** — პენსიონერს.

16. ვლადიმერ გიორგის ძე **ჩანტლაძეს** — თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის განყოფილების უფროსს.

17. ვასილ ალექსანდრეს ძე **ჩოფიკაშვილს** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს.

18. ივანე ირაკლის ძე **ჩუბინიძეს** — თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის განყოფილების უფროსს.

19. შალვა მიხეილის ძე **ხომიზურაშვილს** — მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს.

20. თეიმურაზ ვასილის ძე **ხუბულურს** — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი [illegible] კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 164 ამხ. ე. მ. შაგინიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამხ. ელზა მიხეილის ასულ **შაგინიანს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1966 წლის 27 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 165 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით, მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ივანე ვასილის ძე **ბასილაშვილი** — ტრესტ „საქნავთის“ გაერთიანებული ნავთსარეწის ოპერატორი.
2. ალექსი გიორგის ძე **ბუჩუკური** — მაგისტრალური გაზსადენების ამიერკავკასიის სამმართველოს ქვეშეთის საავარიო-სარემონტო სამსახურის ოსტატი.
3. დიმიტრი სოლომონის ძე **ებელაშვილი** — ტრესტ „საქნავთის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის ოსტატი.
4. ანდრია ანდრიას ძე **ვეშაგური** — მაგისტრალური გაზსადენების ამიერკავკასიის სამმართველოს საგურამოს რაიონული სამმართველოს ოსტატი.
5. ლიუდმილა მიხეილის ასული **ვოვკ**—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსი.
6. ვასილ ალექსანდრეს ძე **ლეკიშვილი** — ტრესტ „საქნავთის“ ოსტატი.
7. მიხეილ კონდრატის ძე **მალაშონოკ** — ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობბაზის განყოფილების უფროსი.
8. ალუდა ასლანის ძე **სოლომონია** — ტრესტ „რუსთავგაზის“ მმართველი.
9. სათენიკ გრიგოლის ასული **ტატინიანი** — მაგისტრალური გაზსადენების ამიერკავკასიის სამმართველოს პროფკავშირის სახაზო კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. პლატონ გრიგოლის ძე **ფიფია** — ტრესტ „საქნავთის“ კოლხიდის საბურღი კანტორის ოსტატი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1966 წლის 2 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 166 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატყეო მეურნეობასა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. იორდან ლუარსაბის ძე **აბაშიძე** — ახმეტის სატყეო მეურნეობის დირექტორი.
2. შოთა გიორგის ძე **ასიტაშვილი** — სამგორის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.
3. ნიკოლოზ ლევანის ძე **აფაქიძე** — ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის დირექტორი.
4. რევაზ ვარლამის ძე **ახვლედიანი** — სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის „გიპროლესტრანსის“ საქართველოს ფილიალის მთავარი კონსულტანტი.
5. პარმენ ილარიონის ძე **ბალათურია** — ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ბრიგადირი.
6. აკაკი მიხეილის ძე **ბერძენაძე** — ბზიფის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის ტყის მჭრელი.
7. ალექსი იოსების ძე **ბიჭიკაშვილი** — ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის მეჩარხე.
8. ვლადიმერ ლუკას ძე **ბურჯანაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ნადირობისმცოდნე.
9. ბიძინა გაბრიელის ძე **გულისაშვილი** — თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
10. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **დათეშიძე** — ამიერკავკასიის ტყის მომწყობი საწარმოს ხე-ტყის მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების უფროსი.
11. ევა ივანეს ასული **თუთბერიძე** — წყალტუბოს სატყეო მეურნეობის მუშა.
12. ისა ისკანდერის ძე **კახაძე** — ხულოს სატყეო მეურნეობის ტყის მცველი.
13. ანზორ სევასტის ძე **კიკნაძე** — მარელისის ავეჯის ფაბრიკის მუშა.
14. დავით მიხეილის ძე **მინდაძე** — პენსიონერი.

...ბიბლიოთეკა

15. ვასილ ბარნაბის ძე სალუქვაძე — მახარაძის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.

16. ნესტორ გრიგოლის ძე ლამბარაშვილი — პენსიონერი.

17. მიხეილ იასონის ძე შამშვილი — გურჯაანის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.

18. იანურ დიმიტრის ძე შელია — ინგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის მძღოლი.

19. ტატიანა ანტონის ასული ჩირგაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ინჟინერი.

20. შალვა ალექსის ძე ჩოკულაშვილი — ახმეტის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის მძღოლი.

21. ევდოკია ავქსენტის ასული ცოოვა — ოჩამჩირის სატყეო მეურნეობის მუშა.

22. უშანგი ლუკას ძე ცხოვრებაშვილი — თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის" ამწყობი.

23. მურად პავლეს ძე ცხოვრებოვი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

24. ზაირა ბიძინას ასული ყიფიანი — თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მეჩარხე.

25. ხინტრუკ ალიხანის ძე ხაგუში — გაგრის სატყეო მეურნეობის ტყის მცველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1966 წლის 17 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 167 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მანქანათმშენებლის დღესთან დაკავშირებით, მანქანათსაშენებელ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ალექსანდრე ელისეს ძე ალექსეენკო — ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავი.

2. გოდერძი თარიმანის ძე ბასილაშვილი — ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეყალიბე.

3. ბიძინა ევსევის ძე ბოჭორიშვილი — ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მღარავი.

4. ლუბა ნაუმის ასული ვაინშტეინი — მანქანათმშენებელთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგე.

5. ამირან შალვას ძე **იმნაიშვილი** — ქარხანა „მიკროძრავის“ ზეინკალი.

6. სოკრატ ზაქარიას ძე **ინასარიძე** — თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის წარმოების უფროსი.

7. გურამ ზაქარიას ძე **კევლიშვილი** — ელექტროშემდუღებელი ქარხნის ზეინკალი.

8. ნიკოლოზ ვასილის ძე **სოროკინი** — რუსთავის ამწეთსაშენებელი ქარხნის უფროსი ოსტატი.

9. მარიამ იოსების ასული **ფანოზიშვილი** — ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის უფროსი ოსტატი.

10. დავით ივანეს ძე **ცეცხლაძე** — ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალი.

11. ომარ აკაკის ძე **ციხისელი** — 26 კომისრის სახელობის ქარხნის ხარატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 168 ამხ. ი. ი. ქანთარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იროდი იულონის ძე **ქანთარია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 27 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 169 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თავდადებისა და საზრიანობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ კრასნოდარის მხარის ანაპის მეთევზეობის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თევზსაჭერი სეინერის „მეგანომის“ ეკიპაჟის წევრები და სამხედრო მყვინთავთა ჯგუფი:

1. ივანე კონსტანტინეს ძე **ბორისოვი** — კაპიტანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ანატოლ ნიკოლოზის ძე **გავრიკოვი** — მზარეული.
3. ნიკოლოზ პროკოფის ძე **დენისოვი** — მექანიკოსის თანაშემწე.
4. ალექსანდრე თევდორეს ძე **ზანორი** — მატროსი.
5. ვიქტორ ალექსანდრეს ძე **კარპენკო** — ბრიგადირი.
6. თევდორე გრიგოლის ძე **კილისიდი** — მექანიკოსი.
7. ნიკოლოზ სიმონის ძე **კულიში** — მატროსი.
8. ივანე ტიმოთეს ძე **ნოვიკოვი** — მატროსი.
9. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ომელჩენკო** — მატროსი.
10. ნიკოლოზ ივანეს ძე **პლაკსინი** — მატროსი.
11. ვიტალი ნიკოლოზის ძე **სპესივცევი** — მექანიკოსის მე-3 თანაშემწე.
12. ალექსანდრე ივანეს ძე **ტარანიუკი** — კაპიტნის თანაშემწე.
13. ანდრია ივანეს ძე **ტურჟანსკი** — მყვინთავი მატროსი.
14. ვლადიმერ მიხეილის ძე **ჩეპურნოი** — მიჩმანი, მყვინთავთა რაზმის ზემდეგი.
15. ალექსანდრე მიხეილის ძე **ხიბინი** — უფროსი ლეიტენანტი, საყვინთავ სამუშაოთა ხელმძღვანელი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1966 წლის 27 სექტემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის და საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიების სხდომები.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელბახიანის მოხსენება — მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რაიონებში.

კომისიაზე აღინიშნა, რომ ამ რაიონებში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევად გაუმჯობესდა. ამაღლდა ექიმთა კვალიფიკაცია და მომსახურების ხარისხი.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, შემოწმებულ რაიონებში ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულება დაკომპლექტებული არ არის ექიმებით. ნაკლოვანებებია ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. სამკურნალო დაწესებულებათა ერთ ნაწილს შეკეთება სჭირდება. რაიონული და საუბნო საავადმყოფოები უზრუნველყოფილი არ არიან ყველა სამკურნალო-დიაგნოსტიკური მოწყობილობით.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. შანშაშვილმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. კახიანმა, თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ლომჯარიამ და სხვებმა.

საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ თ. მოსაშვილის მოხსენება — საქართველოს სს რესპუბლიკაში კოოპერაციული ბინათმშენებლობის მდგომარეობის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში კოოპერაციული ბინათმშენებლობის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან საბინაო სამშენებლო კოოპერატივების შექმნას. ამჟამად სულ შექმნილია 121 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი, რომლებშიც გაერთიანებულია 8.000-მდე ოჯახი.

მიუხედავად ამისა, კოოპერაციული ბინათმშენებლობის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სოხუმში, ბათუმში, გორში, ბორჯომში, ცხინვალსა და რუსთავში მიმდინარე წელს არცერთი სახლი არ გადაუციათ საექსპლუატაციოდ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ს. ჩხარტიშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ურუშაძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მთავარმა ინჟინერმა ნ. ჯიოევმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს კოოპერაციულ მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა გ. ზარელუამ, მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა შ. კიკნაძემ, ი. მღებრიშვილმა და სხვებმა.

ორივე მუდმივმა კომისიამ საკითხები განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

* *
*

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა მაიაკოვსკის, ვანის, სიღნაღის, დუშეთის, კასპისა და წალკის რაიონებში.

ამ რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ჯოგლიძემ, ვანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გიორგაძემ, წალკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. მელტონიანმა, დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჩოხელმა, სიღნაღის მშრო-

მელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კრაწაშვილმა და კასპის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა ა. ბასიაშვილმა.

განხილული საკითხის გამო გამოვიდნენ მუდმივი კომისიის წევრები გ. ჯომარჯიძე, კ. ჭანჭალეიშვილი, რ. ლალიძე, ა. გონაშვილი, რესპუბლიკის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსის მოადგილე კ. ოვანესიანი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს უფროსი შ. გოგატაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსი ფ. დუმბაძე. სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დ. მამულაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლებში მაიაკოვსკის, ვანის, სიღნაღის, დუშეთის, კასპისა და წალკის რაიონებში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი კომბინატები, აბანოები, საპარიკმახეროები, ფეხსაცმლისა და საოჯახო ნივთების შესაკეთებელი სახელოსნოები და სხვა ობიექტები. ამასთანავე არის ნაკლოვანებანიც. ბევრ სოფელში შექმნილი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, ხოლო ზოგიერთი სასოფლო ობიექტი ცუდად მუშაობს.

კომისიამ რეკომენდაცია მისცა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ სამმართველოებს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.